ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4226029

ნომერი: AR1633778

თარიღი : 28.09.2018

გაცემის თარიღი : 19.10.2018

გაცნობის თარიღი : 20.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხიზაბავრის N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 28 სექტემბერს №AR1633778 განცხადებით მომართეს ზურაბ ლოლაშვილმა, ვასილ ქურხულმა, გიორგი მარგიანმა, გიორგი მგელაძემ და დიმიტრი მესხიშვილმა და სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანებაში ცვლილების შეტანა მოითხოვეს.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ხიზაბავრის N1, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.11.12.018.021), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ბ-ბლოკის, კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 24 სექტემბრიდან 2019 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანა. კერძოდ, განმცხადებლებს სურთ აღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომი ფართობით - 341.6 კვ.მ. განმცხადებლების მიერ ასევე წარმოდგენილია გენ-გეგმა ავტოსადგომების ჩვენებით.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანებით შეთანმხებული არქიტექტურული პროექტით გატვალისწინებული იყო „ბ“ ბლოკისთვის 23 ღია ავტოსადგომი ფართობით - 341.6 კვ.მ. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანებაში და აღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომი ფართობით: 341.6 კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანებით შეთანმხებულ საპროექტო დოკუმენტაციას დაემატოს 2018 წლის 28 სექტემბრის №AR1633778 განცხადებით წარმოდგენილი გენ-გეგმა.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №4185331 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.